პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის (ქედა ლიდერი)

განხორციელების ვადა: 01.05.2017 - 28.02.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 999 150

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Caucasus Environmental NGO Network

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/KedaLeader/, cenn.org/

პროექტის ვებსაიტები: kedalag.ge/

პროექტის აღწერა:

პროექტი წარმოადგენს ევროკავშირს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ნაწილს. ევროკავშირის LEADER მიდგომის გამოყენებით იგი ქმნის ადგილობრივი განვითარების ჯგუფს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ცართულობას და ხელს უწყობს ადგილობრივი ქმედების განხორციელებას. პროექტის მეშვეობით ხდება ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების განხორციელება და ძლიერდება ქედას მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკა. პროექტი იყენებს ქვემოდან ზემოთ მიმართულ მიდგონას, რათა გაიზარდოს ქედას მუნიციპალიტეტის პოტენციალი და ოპტიმალურად იქნას გამოყენებული რესურსები.

პროექტი ხელს უწყობს ქედაში ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის შექმნასა და გაძლიერებას ქედაში. იგი ჯგუფს მხარს უჭერს ადგილობრივი განვითარების პროცესს და გენდერული ნიშნით და ახალგაზრდების მიმართ სენსიტიური განვითარების გეგმების შემუშავებას, ეხმარება ინოვაციური პროექტების განხორციელებაში ეკონომიკური და საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარებისთვის, ინკლუზიური ზრდისა და რაც მთავარია, მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- ქედას ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის გაძლიერება და გაფარ-თოება ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობით
- ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და დაგეგმვის პროცესებში.
- კავშირების დამყარება და თანამშრომლობა სხვა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან აჭარაში, საქართველოს სხვა რეგიონებსა და ავსტრიაში.
- ქალების, ახალ-გაზრდებისა და საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის გაზრდა სოფლის განვითარების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესებში.
- ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის განვითარების სტრატეგიის თანამონაწილეობრივი შემუშავება, გენდერული ასპექტებისა და ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, და მისი შეთან-ხმება აჭარის ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან.
- სოფლად არსებული ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიცირება და ინკლუზიური ზრდის შესაძლებლობების შექმნა, იმ ინოვაციური პროექტების განხორციელების შედეგად, რომლებიც დაფინანსდება ქედის სოფლის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების შესა-ბამისად
- სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციის, კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების შედეგად მიღებული გაზრდილი შემოსავლებით.